შარლ პერო

რომელია შენი საყვარელი ზღაპარი? გაიხსენე, ხალხურია თუ რომელიმე ავტორს ეკუთვნის.

ალბათ, წაგიკითხავს ,,წითელქუდა“, **,,კონკია“**, ,,ჩექმებიანი კატა“... თუ ასეა, მათი ავტორიც გეცოდინება. დიახ, ეს ზღაპრები შარლ პერომ დაწერა.

შარლ პერო დაიბადა 1628 წელს პარიზში. მშობლებმა შარლი კოლეჯში შეიყვანეს. მამა დიდ **დროს უთმობდა** შვილს. ხშირად უმოწმებდა დავალებებს, აძლევდა რჩევებს. ალბათ, ამიტომაც გამოირჩეოდა შარლი კარგი სწავლით.

კოლეჯის დასრულების შემდეგ შარლ პერომ მუშაობა დაიწყო. თავისუფალ დროს წერდა ლექსებს. მალე **ცნობილი** პოეტი გახდა.

ზღაპრების წერა კი შარლ პერომ გვიან დაიწყო. 60 წლის იყო, როდესაც მისი ზღაპრების პირველი წიგნი დაბეჭდეს. ამ ზღაპრების დიდი ნაწილი ხალხური იყო. მან ისინი უფრო გაამარტივა. ზოგს **დასასრული** შეუცვალა, ზოგს კეთილი გმირები დაუმატა. ეს ზღაპრები ადვილი გასაგები გახდა. ამიტომ ყველას ძალიან მოეწონა.

ცნობილია, რომ შარლ პერო ზღაპრებს თავისი შვილის სახელით ბეჭდავდა. რა იყო ამის მიზეზი? ფიქრობენ,

მას, როგორც ცნობილ პოეტს, არ სურდა, რომ მეზღაპრის სახელი ჰქონოდა. მაგრამ სწორედ ზღაპრებით გაიცნო იგი მსოფლიომ.

300 წელზე მეტია, რაც პეროს ზღაპრებს ინტერესით კითხულობენ ბავშვები ყველა ქვეყანაში. მისი ზღაპრების მიხედვით გადაიღეს ფილმები, დადგეს სპექტაკლები. დღეს შარლ პერო პატარების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მეზღაპრეა.

რა გაიგე ახალი შარლ პეროს შესახებ?

დონე: *A გამართული*, **კომპონენტი:** *ფაქტი და მოსაზრება*

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რის შესახებ არის გამოთქმული მოსაზრება მეორე აბზაცში?

ა) შარლ პეროს კარგად სწავლის შესახებ.

ბ) შარლ პეროს კოლეჯის შესახებ.

გ) შარლ პეროს მშობლების შესახებ.

2 პეროს ზღაპრებს სიამოვნებით კითხულობდნენ, რადგან:

ა) ფიქრობდნენ, რომ ისინი პეროს შვილმა დაწერა.

ბ) ისინი ყველასთვის ადვილად გასაგები იყო.

გ) იცოდნენ, რომ მათი ავტორი პოეტი იყო.

3 რომელ წინადადებაში არის გამოთქმული მოსაზრება?

ა) პერო, ალბათ, არ ელოდა, რომ ზღაპრებით გახდებოდა ცნობილი.

ბ) პერო ზღაპრებს თავისი შვილის სახელით ბეჭდავდა.

გ) პერომ ძველი ხალხური ზღაპრები გაამარტივა და დაბეჭდა.

4 ტექსტში <u>არ ჩანს:</u>

ა) რატომ მიაწერა პერომ ზღაპრებს შვილის სახელი.

ბ) როდის დაიწყო პერომ ზღაპრების წერა.

გ) რომელი ზღაპარია ფილმად გადაღებული.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **კონკია** შარლ პეროს ზღაპრის გმირია. **კონკია** ნიშნავს:
   ა) ძალიან ლამაზს. ბ) ძალიან პატარას. გ) ძალიან ღარიბს.

2. მამა დიდ **დროს უთმობდა** შვილს. **დროის დათმობა** ნიშნავს:
   ა) დროის გაფრთხილებას. ბ) დროის გამოყოფას. გ) დროის დაკარგვას.

3. შარლ პერო **ცნობილი** პოეტი იყო.
   ა) განთქმული. ბ) კარგი. გ) საინტერესო.

4. პერომ ზოგ ზღაპარს **დასასრული** შეუცვალა.
   ა) ბოლო ნაწილი. გ) დასაწყისი ნაწილი. გ) მთელი შინაარსი.

2. რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები?

ა) გმირი – პერსონაჟი. ბ) დასრულება – დაწყება. გ) რჩევა – დარიგება.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

1. შარლ პერო ზღაპრით გაიცნო ----------.

   ა) მსოფლიო. ბ) მსოფლიომ. გ) მსოფლიოს.

2. პერო ---------- თავისი შვილის სახელით ბეჭდავდა.

   ა) ზღაპრები. ბ) ზღაპრებმა. გ) ზღაპრებს.

3. ---------- ზღაპრებით გაიცნო მსოფლიომ.

   ა) იგი. ბ) მან. გ) მას.

3 შეარჩიე სწორი ფორმები.

1. ზღაპრები ყველას ძალიან ----------. ***(მოეწონათ/ მოეწონა)***

2. პეროს ზღაპრებს ყველა ----------კითხულობენ ბავშვები.
   (ქვეყანაში/ქვეყნებში)

გრამატიკა

2 **დაწერე სიტყვები მხოლობით რიცხვში.**

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
---	პერსონაჟები
---	მეზღაპრეები
---	დავალებები
---	ზღაპრები

წერა

1 **ამოიწერე ტექსტიდან ის ფაქტები, რომლებიც მოგვითხრობს შარლ პეროს საქმიანობის შესახებ.**

ნიმუში: *1. შარლ პერო მუშაობდა და თან ლექსებს წერდა.*

---

2 **აარჩიე ერთი ზღაპარი, დაუმატე სხვა ზღაპრის გმირი და გადააკეთე დასასრული. გააფორმე შენი ზღაპარი ნახატებით.**